# შემწყალებლებს იწყალებს შემწყალებელი, შეიწყალეთ ისინი, ვინც დედამიწაზეა და შეგიწყალებთ ის, ვინც ზეცაშია

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «შემწყალებლებს იწყალებს შემწყალებელი, შეიწყალეთ ისინი, ვინც დედამიწაზეა და შეგიწყალებთ ის, ვინც ზეცაშია».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

ალლაჰის მოციქული(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ისინი, ვინც სხვებს მოწყალებით ექცევიან, მოწყალე ალლაჰისგან მიიღებენ მოწყალებას, რომელიც ყველაფერს მოიცავს. როგორც სრულიად სამართლიანი ჯილდო და შესაბამისი საზღაური. შემდეგ, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდა, რომ შემწყალებელი ვიყოთ ყველა არსების მიმართ, რომლებიც დედამიწაზე არიან, იქნება ეს ადამიანი, ცხოველი, ფრინველი თუ ნებისმიერი სხვა სახის ქმნილება. ამის საზღაური კი ის არის, რომ ალლაჰი შეგიწყალებთ მისი ცების ზემოდან.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/8289